



მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი (აღარი) 15-28 №4 (337) (5771) 2011

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა მიიღო საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის დელეგაცია



შ. პერესი და გ. მირილაშვილი

7 თებერვალს ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა თავის რეზიდენციაში მიიღო საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენლობითი დელეგაცია სემკ-ის პრეზიდენტის – გაბრიელ მირილაშვილის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველ ებრაელთა თემის თვალსაჩინო მოღვაწეები – მეცნიერები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ცნობილი სასულიერო პირები.

სახელმწიფოს პრეზიდენტმა დიდი პატივისცემა გამოხატა ქართველი ებრაელების მიმართ, დაახასიათა იგი, როგორც ერთობ ქმედითი თემი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ისრაელის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამასთან, მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ თვალს ადევნებს სემკ-ის მუშაობას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის საქმიანობას.

გაბრიელ მირილაშვილმა კონგრესის სახელით მადლობა მოახსენა პრეზიდენტს გულთბილი სიტყვებისთვის და გააცნო მას კონგრესის მომავალი სამუშაო გეგმა.

ისრაელის პრეზიდენტი დაინტერესდა კონგრესის პროექტებით, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „დღიურის“ და „ებრაული ფეისბუქის“ პროგრამებზე.

გაბრიელ მირილაშვილმა სახელმწიფოს პრეზიდენტს ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, რომ კონგრესს გათვალისწინებული აქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოწყობა, რომელშიც ქართველ ებრაელ სწავლულებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ

ებრაული მეცნიერული სამყაროს ელიტარული წარმომადგენლები. შიმონ პერესმა ილაპარაკა ისრაელის მეცნიერთა დიდ მიღწევებზე, აღნიშნა, რომ მათ შეიმუშავეს ტვინის კვლევის სრულიად ახლებური მეთოდები და ხუმრობით დასძინა: „ტვინი ადამიანის სხეულის ყველაზე ებრაული ნაწილია და სრულიად კანონზომიერია, რომ მის კვლევაში ისრაელის მეცნიერებს წამყვანი პოზიცია უჭირავთ.“

სახელმწიფოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა განათლების დიდ მნიშვნელობას და ამ კონტექსტში ისაუბრა ჩვენს მომავალ თაობაზე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებზე, რომლებსაც თანადგომას უწევს „პერესის ფონდი.“

სემკ-ის პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა და ვიცე-პრეზიდენტმა იოსებ მამისთვალაძემ გამოთქვეს მზადყოფნა, რომ კონგრესმა თავისი ქმედითი წვლილი შეიტანოს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. დასასრულ, ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა აღუთქვა კონგრესის ხელმძღვანელობას, რომ იგი კვლავაც ყურადღებით მოეყილება კონგრესის ინიციატივებს და რამდენადაც ამის შესაძლებლობას მისცემს დროის გრაფიკი, ყოველთვის მიიღებს მონაწილეობას მის ღონისძიებებში.

ეს იყო უაღრესად თბილი, ამასთან ერთად, საქმიანი შეხვედრა, რომელმაც სემკ-ის ხელმძღვანელობა დაარწმუნა მის მიერ აღებული გეზის სისწორეში და ახალი პერსპექტივები დაუსახა მომავალ მუშაობაში.



შ. პერესი და გ. მირილაშვილი

სემ კონგრესის ახალი თანათავმჯდომარეები

2003 წლის იანვარში გაიმართა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის დამფუძნებელი ყრილობა, რომლის მუშაობაშიც ქვეყნიერების სამ კონტინენტზე მცხოვრები ასობით ქართველი ებრაელი მონაწილეობდა. ყრილობამ აირჩია სამი თანათავმჯდომარე: აკადემიკოსი შალვა მარდი, პოლიტიკოსი – შაბთაი ცური და დრამატურგი, მწერალი გურამ ბათიაშვილი.

კონგრესის შექმნით საქართველოს ებრაელობამ გადადგა ნაბიჯი წინ. ამ წლების განმავლობაში კონგრესმა ბევრი ჩინებული საქმე გააკეთა – დაამტკიცა, რომ მისი არსებობა საჭირო გახლდათ და რაც მთავარია, იგი ჩაეწერა საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების პეიზაჟში.

ამას წინათ სემკ-ის გამგეობის სხდომაზე აირჩიეს ხუთი ახალი თანათავმჯდომარე: პროფესორი **დავით ბააზოვი**, დიდებული მკვლევარი **იცხაკ დავიდი**, ასევე დიდებული კომპოზიტორი **იოსებ ბარდანაშვილი**, სახელოვანი დასტაქარი **მერაბ სარელი** (ისრაელაშვილი) და კიდევ სემ კონგრესის ის თანამშრომელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა კონგრესის თანათავმჯდომარის – გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ აგორებულ ბინძურ კამპანიაში. თუმცა, იგი მარტო არ იყო ამ ჭაობში. ეს უკვე მათი ბიოგრაფიის შემადგენელი ნაწილია და არა ვგონებ, ვინმე შეეცდილოთ.

სემ კონგრესის კეთილშობილური იდეა ჭუჭყიან ინტრიგებზე მალლა დგას. მით უმეტეს აღემატება ინტრიგების შეუმჩნეველად მხლართველ კონგრესის ფუნქციონერთა გაბერილ რენომეს.

ამიტომ „მენორას“ რედაქცია, ყოველი თანამშრომლის, მრავალათასიანი მკითხველის სახელით, გულითადად ულოცავს ახლადარჩეულ თავმჯდომარეებს კეთილშობილური იდეის სამსახურში ჩადგომას.

დაე, გამარჯვება დაბედობდეთ ჩვენი ხალხის სასარგებლო საქმიანობაში!

www.menora.ge

სასამართლო პროცესის ირგვლივ

ადვოკატი: „ბიზნესმენების უკანონოდ დაკავშირებასთან დაკავშირებით ისრაელი სპეციალურ ნოტას ამზადებს“

რის სანაცვლოდ პირებს ხელისუფლება ებრავს ბიზნესმენებს თავისუფლებას?

საქართველოს სასამართლოში მეორე თვეა, ებრავს ბიზნესმენებს – ზევდ ფრენკლისა და რონი ფუქსის პროცესი მიმდინარეობს. ქრთამის მიცემის ბრალდებით დაკავებულ ბიზნესმენებს იმ შემთხვევაში გაათავისუფლებენ, თუ ისინი უარს იტყვიან მოგებულ თანხაზე, რომელიც მათთვის საქართველოს უნდა გადაეხადებინათ. ამის შესახებ „მთელი კვირა“ ბიზნესმენების დამცველმა არჩილ კვიციანი განუცხადა. თუმცა, მხარეებს შორის შეთანხმება მიღწეული არ არის.

ადვოკატის თქმით, ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ფაქტორი თანხა (100 მილიონი დოლარი); გარდა ამისა, კილაშვილი მიიჩნევს, რომ ბიზნესმენები უკანონო პატიმრები არიან და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაკავებულების მიმართ დანაშაულის პროვოცირება მოხდა.

სასამართლოში 2010 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გადაღებული ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების მოსმენა დასასრულს მოუახლოვდა. მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ სასამართლო გამოძიებას ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძე მისცემს ჩვენებას, რომელიც თავის დროზე დაკავებულებთან მოლაპარაკებას მართავდა.

პროცესის დასაწყისში ბიზნესმენების ადვოკატმა პრემიერ-მინისტრისა და ოუსტიციის მინისტრის მოადგილის თინა ბურჯაღიანის დაკითხვის შუამდგომლობა დააყენა, რადგან მიიჩნევს, რომ ისინი დანაშაულის პროვოცირებაში მონაწილეობდნენ.

ადვოკატის განმარტებით, ხელისუფლების მალაჩინოსებმა გეგმა შეიმუშავეს, რომლითაც განზრახული იყო ებრავს ბიზნესმენების საქართველოში ჩამოყვანა და მათი დაკავება.

თუმცა მოსამართლემ მისი შუამდგომლობა იმ მოტივით არ დააკმაყოფილა, რომ ისინი გამოძიებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას არ ფლობენ.

გამოძიების თანახმად, ებრავს ბიზნესმენებმა საქართველოში საქმიანობა 1991 წელს, კომპანია „ტრამექსის“ დაარსებით დაიწყო. მაშინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ კომპანიას საქართველოში ნავთობისა და გაზის გადამამუშავების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა. თუმცა, მათ ეს უფლება 1996 წელს ჩამოერთვათ, რადგან, ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, ნავთობისა და გაზის კორპორაცია შეიქმნა.

ამის შემდეგ „ტრამექსმა“ დაკარგული უფლებების აღდგენის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. ბიზნესმენებმა პროცესი მოიგეს და საქართველოს მთავრობას მათთვის 100 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

თუმცა, ბიზნესმენების ადვოკატის მტკიცებით, ხელისუფლებას ამ თანხის გადახდა არ სურდა. ამიტომ სპეციალური გეგმა შეიმუშავეს, დანაშაულის პროვოცირება მოახდინეს და საქართველოში ჩამოსული ბიზნესმენების ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ავთანდილ ხარაიძისთვის ქრთამის შეთავაზების ბრალდებით დააკავეს. საუბარია 7 მილიონ დოლარზე.

„1992-95 წლებში ბიზნესმენებს 30-წლიანი ექსკლუზიური უფლება მიეცათ საქართველოში არსებულ ნავთობსადენებზე. თუმცა, 1996 წელს ეს უფლება სახელმწიფომ მათ გაუუქმა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას გადასცა. სახელმწიფოს მათთვის ხელშეკრულება რომ არ გაუუქმებინა, ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობი და კიდევ სხვა ნავთობსადენები, რაც ახლა მუშაობს, მთლიანად მათი იქნებოდა. თუმცა, მათ ეს უფლება წართვეს და „ბი-პის“ გადასცეს. მათ სასარგებლოდ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო საქართველოს მთავრობას 100 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. როდესაც მსჯელობა წავიდა, თუ საიდან უნდა გადაეხდა საქართველოს ეს თანხა, ებრავს მიაჩნდათ, რომ საქართველოს ნაცვლად ეს თანხა შეეძლო „ბი-პის“ გადაეხდა. ისინი რეკომენდაციას აძლევდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ეს თანხა „ბი-პის-ს“ მიეღო. თუმცა, სახელმწიფოს საერთოდ არ სურდა მათთვის ამ თანხის გადახდა. არც თანხის და არც მისი ნაწილის“ – ამბობს კილაშვილი.

გამოძიების ვერსიის თანახმად, ისინი ხარაიძეს სთხოვდნენ, დაერწმუნებინა მთავრობა, არ გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთავრობას ბიზნესმენებისთვის 98 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

თუმცა, სხვა ვერსიაზე საუბრობს დაკავებულების ადვოკატი არჩილ კილაშვილი: „როდესაც სასამართლომ ბიზნესმენების სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, ამის შემდგომ მათ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი იმ მიზნით დაუკავშირდა, რომ შეემცირებინათ თანხა. სანაცვლოდ, მთავრობა სწრაფად და დროულად გადაუხდოდა თანხის ნაწილს. ამის შემდეგ, ბრალდება ამბობს, თითქოს ებრავს ასე დააყენეს საკითხი: უკეთესი პირობებით რომ გააფორმებულიყო ეს ვარიანტი, მათ მთავრობის წარმომადგენელს შესთავაზეს 7 მილიონი დოლარის სახით ქრთამის მიცემა. მათი აზრით, უკეთესი პირობები მოეპოვებოდა, მაგრამ მოლაპარაკების შედეგით მათ 100-ზე ნაკლები უნდა აეღო. დაახლოებით, ასეთია მათი არგუმენტი, რომელიც ცოტა ძველი გასაგებია.“

„ჩვენი და დაკავებულების პოზიცია ასეთია: მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ თანხა წააგო, სახელმწიფოს არ სურდა არც ამ თანხის და არც მისი ნაწილის გადახდა. ამიტომ შეიმუშავეს გეგმა, რომლის თანახმად, უნდა მომხდარიყო დანაშაულის პროვოცირება. ამ მიზნით ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ადამიანი (ავთანდილ ხარაიძე-ავტ.), რომელსაც არ გააჩნია ფინანსური განათლება და საერთოდ, ამ სისტემაში მუშაობის გამოცდილება. იმისათვის დანიშნეს, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობით ავტორიტეტი შექმნიდა და ამით ესარგებლა; დაკავშირებოდა გამარჯვებულ მხარეს და მათთვის შეთავაზებინა მოჩვენებითად პირობები, თითქოს სახელმწიფო თანხამ იყო რაღაც თანხის გადახდაზე, მაგრამ სინამდვილეში მოეთხოვა სახელმწიფოს სახელით თანხის დაბრუნება, რასაც ბრალდება ქრთამს ეძახის. ასეც მოხდა. ხარაიძე პრემიერ-მინისტრის სახელით ითხოვდა ამ თანხას და ამბობდა, თუ ეს თანხა არ იქნებოდა დაბრუნებული, მორიგება არ შედგებოდა. ამ სქემის ფარგლებში დანაშაული ხელოვნური გზით შექმნეს. ახლა სახელმწიფო პირობას აყენებს, რომ ისინი განთავისუფლებიან, თუკი უარს იტყვიან მოგებულ თანხაზე. თუმცა, ეს შეთანხმება მიღწეული არ არის, რადგან აქ თანხა განმსაზღვრელი. მათი თანხობა არ არის, ამიტომ 4 თვეა, რაც ისინი დაპატიმრებული არიან უკანონოდ. ამასთან დაკავშირებით ისრაელის სახელმწიფო სპეციალურ ნოტას ამზადებს“ – ამბობს კილაშვილი.

ადვოკატი ვარაუდობს, რომ ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების მოსმენა ამ კვირაში დასრულდება და სასამართლო გამოძიება მოწმეთა ჩვენების ეტაპზე გადავა. პირველი მოწმის, ფინანსთა მინისტრის მოადგილის ავთანდილ ხარაიძის დაკითხვა ამ კვირაში იგეგმება. სასამართლო მის გარდა კიდევ ორ მოწმეს დაკითხავს – ნიკა გონგლაძე-ვილი, რომელიც სტამბულის შეხვედრაში თარჯიმნის როლს ასრულებდა და რეგავ თევზაძეს, საქართველოს ყოფილ თავმჯდომარეს, რომლის დროსაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას.

„მთელი კვირა“, გაზეთი „რეზონანსი“ 7 თებერვალი, 2011 წელი.

ქრთამთან დაკავშირებული ისრაელი სპეციალური სისხლისსამართლო სისხლს უზრუნველყოფს სენსიტიური საქმე



სასამართლო სხდომის დარბაზში

საქართველო, რომელსაც ხშირად აფასებენ მსოფლიოს წამყვან რეფორმატორ ქვეყნად, შეჩვეულია იმას, რომ კარგი ბიზნესგარემოს გამო აქებენ, მაგრამ სასამართლო პროცესი ორი ისრაელი ბიზნესმენის წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალი ქრთამის გადაცემასთან დაკავშირებით ედებათ, ქართული სასამართლოების მოუკერძოებლობასთან დაკავშირებით შემოთავაზებულ იქნევს, ყოველ შემთხვევაში, იმ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც მთავრობა უცხოელ ინვესტორებს უპირისპირდება.

ნავთობით მოვაჭრე რონი ფუქსი და მისი თანამშემწე ზევდ ფრენკლი ჩართულები იყვნენ 14-წლიან დავაში საქართველოს მთავრობასთან იმ ნავთობსადენის საიჯარო ხელშეკრულების გამო, რომელშიც ფუქსმა და მისმა ბერძენმა პარტნიორმა – იოანის კარდასოპოლუსმა ინვესტიცია განახორციელეს. 2010 წლის მარტში, ვაშინგტონში არსებულმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა „საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრმა“ ICSID მიიღო გადაწყვეტილება, რომ საიჯარო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო საქართველოს მთავრობამ ფუქსს და მის ბერძენ პარტნიორს იოანის კარდასოპოლუსს 98 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადებინათ.

მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. 2010 წლის ოქტომბერში, სამ თვეში მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ არბიტრაჟის გადაწყვეტილება უარყო, ფუქსი და ფრენკლი თბილისში ციხეში აღმოჩნდნენ. მათ ბრალი ედებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის – ავთანდილ ხარაიძისთვის 7 მილიონი დოლარის ქრთამის შეთავაზებაში იმის სანაცვლოდ, რომ მთავრობა არბიტრაჟის გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებდა.

ბრალი ფუქსის პარტნიორს კარდასოპოლუსსაც წაუყენეს ოღონდ დასწრებლად. საქმე უმაღლესი სასამართლოს საპროცესო დეპარტამენტის განყოფილებაში გადაიწვია. მათი ვარაუდით, მთავრობამ საგანგებოდ შემოიტყუა ფუქსი და ფრენკლი ქვეყანაში,

რათა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ჯარიმის გადახდისთვის თავი აერიდებინა. წვევლი ბათუმში ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან ხარაიძესთან შეხვედრის დროს დააპატიმრეს.

საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომ ICSID - ის გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არ აქვს მის ქრთამთან დაკავშირებულ ბრალდებებთან. ეს უკანასკნელი ძირითადად ეყრდნობა რამდენიმე საათიან ფარულ აუდიო და ვიდეოჩანაწერს, რომელზეც ასახულია ფუქსის, ფრენკლის და ქართველი ჩინოვნიკების შეხვედრები თურქეთსა და საქართველოში.

დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ და ამტკიცებენ, რომ საქართველოში იმის გამო ჩამოვიდნენ, რომ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისაგან წერილობითი მოწვევა მიიღეს, რათა განეხილათ „ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება“ გარკვეულ „მიმდინარე მოლაპარაკებებზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

დაცვის ადვოკატი არჩილ კილაშვილი ამტკიცებს, რომ ნაწილობრივ გილაურის სავარაუდო წერილზე დაყრდნობით გადაწყვეტილება ამ ორმა ადამიანმა ის, რომ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ხარაიძე პრემიერ-მინისტრ გილაურის თანხმობით მათთან აწარმოებდა მოლაპარაკებას 7 მილიონი დოლარის „ინვესტიციაზე“ იმის სანაცვლოდ, რომ მთავრობა ნაკლები ოდენობის კომპენსაციას – 72 მილიონ დოლარს გადაუხდიდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელიც ფუქსისა და ფრენკლის საქმეს იძიებს, გილაურის სავარაუდო წერილი მტკიცებულებად გაიზიარა, მაგრამ ის „უზნებელი“ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა დაცვის მოთხოვნა, რომ პრემიერ-მინისტრის, ან ფინანსთა მინისტრის კანდიდატის ბაინდურაშვილისთვის მოეთხოვათ მოლაპარაკების ფაქტის დადასტურება. სასამართლომ არც ის გაიზიარა, რომ სტამბოლში ფუქსთან და ფრენკლთან შეხვედრების ჩაწერა თურქეთის კანონმდებლობით აკრძალული იყო.

სასამართლომ, რომლის სხდომებიც იანვარში მიმდინარეობდა, იმის ნაცვლად, რომ მოწმეების ჩვენებისთვის მოესმინა, მთელი თვე იმაზე დასარჯა, რომ ფუქსის და ფრენკლის ჩინოვნიკებთან ხანგრძლივი საუბრების ჩანაწერებს ცოცხლად, ქართული თარგმანის თანხლებით ისმენდა.

მიმდინარე სასამართლო გამოძიებაზე საუბრისას, პრემიერ-მინისტრის სამსახურის წარმომადგენელმა უარი თქვა EurasiaNet.org-თვის კომენტარი მიეცა გილაურის შესახებ მონაწილეობაზე ფუქსის და ფრენკლის მოლაპარაკებაში. 2011 წელს მთავრობამ ICSID-ის ფუქსი-კარდასოპოლუსის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების „გადახედვის“ თხოვნით მიმართა.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო შიშობს, რომ ეს საქმე საქართველოსთან საინვესტიციო ურთიერთობებს ავნებს, თუმცა EurasiaNet.org-თან უშუალოდ საქმეზე საუბარი არ ისურვა.

მოუხედავად სასამართლო პროცესის შედეგებისა, საქართველოს მთავრობა, რომელსაც წლების განმავლობაში აქებდნენ ის ჯგუფები, რომლებიც გლობალურ ბიზნეს-კლიმატს აკვირდებიან, ცდილობს შეინარჩუნოს მისი, როგორც ბიზნესისათვის ხელშემწყობი გარემოს მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია ინვესტორებისთვის. ამ მიზნით ადგილობრივ საქმიან წრეებთან დაძაბულობის განსამუხტად ბოლო დროს ნაბიჯებიც გადაიდგა.

2010 წლის დეკემბრის დასაწყისში, საქართველოს აგრესიული საგარეო პოლიტიკის შემსუბუქების მიზნით, მიხელო სააკაშვილმა მხარი დაუჭირა „ბიზნეს-ომბუდსმენის“ ინსტიტუტის შემოღებას, ასევე საგარეო ურთიერთობების კოდექსში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც გარანტიებს შექმნის იმისათვის, რომ კომპანიები უნებელი შეცდომებისათვის არ დაისჯებიან.

„მოძრაობა (შიშა) ჯანაშილის ცხოვრება და ეროვნება“

რეცენზია ვერა მეგრელიშვილი-ჯანაშილის ნიგნზე

არსებობენ ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული მისიით ევლინებიან ამ ქვეყანას, რათა თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვონ თავისი ერის ისტორიაში. ასეთი განსაკუთრებული მისია ხვდა წილად მხატვარ მორდეხაი (მიშა) ჯანაშილს, ხოლო მისი მეუღლე, თავად ხელოვანი, მხატვარი ვერიკო მეგრელიშვილი-ჯანაშილი დღემდე ღირსეულად ასრულებს სათაყვანო მეუღლის უკვდავოფის, მემკვიდრის მისიას.

24 თებერვალს მიშა ჯანაშილს 82 წელი შეუსრულდებოდა, იგი ნაადრევად, 59 წლის ასაკში, თავისი შემოქმედების აყვავების პიკზე წავიდა ამ ქვეყნიდან და უდიდესი სევდა და ტკივილი დატოვა თავის ოჯახის წევრებისა და მისი საოცარი ხელოვნების თავყვანისმცემელთა გულში. გავიმეორებ მისი მისამართით არაერთხელ ნათქვამს, მისი გარდაცვალება ამ ქვეყნიდან მხოლოდ ფიზიკურ წასვლას ნიშნავდა, ხოლო სულიერი და შემოქმედებითი სიცოცხლე დღესაც გრძელდება მის უკვდავ ტილოებსა და განსაკუთრებით კი ბატონ მიშას საოცარი მეუღლის, ქალბატონ ვერიკოს ძალისხმევით, რომელიც უდიდესი ერთგულებითა და სიყვარულით უკვე 20 წელიწადზე მეტია სათუთად და მოწიწებით პატივს მიაგებს მეუღლის ხსოვნას და მხატვრის ცოცხალი სახიერება საზოგადოებასაც შემოუნახა. მისი წყალობით უკვე მრავალი წლის მანძილზე კვლავ გრძელდება ბატონი მიშას აქტიური შემოქმედებითი „ცხოვრება“ გამოფენებსა და ხსოვნის საღამოებზე.

ტექნიკურად დიდი მხატვრები მარადიულ სიცოცხლეს თავის ხელოვნებაში აგრძელებენ. მაგრამ მხოლოდ რწეულთა ხვედრია სიცოცხლეშივე მოპოვებული აღიარება. მიშა ჯანაშილს ეს ბედნიერება ორივე სამშობლოში, საქართველოშიც და ისრაელშიც ხვდა წილად.

ხოლო მეუღლის უსაზღვრო და თავდადებულმა სიყვარულმა ფასდაუდებელი დეაწლი შეიტანა ბატონი მიშას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკვდავოფისა და პოპულარიზაციის საქმეში, რომელიც ქალბატონმა ვერიკომ მეუღლის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნით ღირსეულად დააგვირგვინა.



ქართველმა ებრაელებმა საუკუნეების მანძილზე სათუთად ატარეს და დღემდე შემოინახეს თავიანთი რელიგია და ტრადიციები. ისინი მტკიცედ იცავდნენ მოსეს მცნებებს, ზედმიწევნით კი მეორე მცნებას, ანუ ებრაელთათვის აკრძალული იყო გამოსახულების შექმნა, რამაც განაპირობა არა ესთეტიკური, არამედ უფრო მეტად, ცერემონიალური ხელოვნების განვითარება. საქართველოში განსაკუთრებით დიდხანს და მკაცრად მისდევდნენ ამ ორთოქსალურ ტრადიციას – მხატვრობა ებრაელებისთვის შეუფერებელ საქმედ ითვლებოდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ XX საუკუნის პირველი ნახევრისთვის, როცა თბილისში 1933 წელს ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი დაარსდა, არ იყო ებრაული წარმომავლის მხატვარი. ეს მისია თვითნასწავლ მხატვრის შალომ კობოშვილს ხვდა წილად, რომელიც მუზეუმში უბრალოდ დარაჯად მუშაობდა და 61 წლის ასაკში აიხდინა ბავშვობაში აკრძალული ოცნება: დაიწყო ხატვა. მისი ინტუიციის, თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, მხოლოდ სამი წლის მანძილზე შექმნილი თვითმყოფადი ნამუშევრების სახით შემორჩენილია იქამდე არარსებული დიდი და ძალზე საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა ქართველ ებრაელთა ყოფის, მათი ადათ-წესების შესასწავლად. მაგრამ ათწლეულების მანძილზე შალომ კობოშვილის შემოქმედება უცნობი და მივიწყებული იყო.

მიშა ჯანაშილს კი პირველი პროფესიონალი ქართველი ებრაელი მხატვრის საპატიო მისია დაეკისრა. თუმცა, კობოშვილის მსგავსად, ისიც დიდ წინააღმდეგობას განიცდიდა მამის მხრიდან და საკმაოდ მძიმე და ეკლიანი გზა განვლო მოწოდების მისაღწევად.

ამის მიუხედავად, მან ბრწყინვალედ დაამთავრა სამხატვრო ტექნიკუმი, შემდეგ სამხატვრო აკადემია, სადაც მას ცნობილი ქართველი მხატვრები მოსე თოიძე, უნა ჯაფარიძე, კორნელი სანაძე, სერგო ქობულაძე და ვასილ შუხაევი ასწავლიდნენ. მისი

სადიპლომო ნამუშევრის დაცვას ოჯახიდან არავინ დასწრებია, არავინ არ იზიარებდა მის დიდ სიხარულს, ძნელად მიღწეულ, ოცნებად ქცეულ წარმატებას.

სადიპლომო ნამუშევარი „განთიადი“ მისი წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის საწინდარი აღმოჩნდა და სამხატვრო აკადემიის ოქროს ფონდშიც შევიდა. ახალგაზრდა ნიჭიერმა მხატვარმა მალე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრებისას, მიშა ჯანაშილის შემოქმედებამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე მხატვრულ სივრცეში და მას არაერთი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენა ჰქონდა საქართველოსა თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში და მისი ტილოები მუზეუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამინისტროებში თუ მრავალრიცხოვან კერძო კოლექციებშია დაცული.

ჯანაშილის ყოველი გამოფენა დიდი მოვლენა იყო, რაზეც მეტყველებს წიგნში თავმოყრილი უამრავი რეცენზიები, საგაზეთო წერილები, ცნობილი ხელოვნებათმცოდნეებისა, კრიტიკოსების, მწერლებისა თუ ჟურნალისტების გამონათქვამები.

მიშა ჯანაშილის შემოქმედება არა მხოლოდ ხალასი და თვითმყოფადი მხატვრული მანერითა და სტილით იქცევა ყურადღებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია შინაარსობრივი დატვირთვა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ცენზურის პერიოდში, როდესაც ყოველგვარი ებრაული და განსაკუთრებით რელიგიური იდეებებოდა, მას ვერ გამოხატავდა თავისი ტილოებით განეცხადებინა, რომ ის ებრაელია და თავისი ერის დიდი ისტორია მისი შთაგონების წყაროა. იუდაიზმის განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანია რელიგიისა და ხალხის მიდრეკილება ადაპტაციასა და ცვლილებისადმი. მისი წყალობით, იუდაიზმი საუკუნეების მანძილზე არა მხოლოდ გადარჩა და შეინარჩუნა თავისი ძირითადი თვისებები, არამედ ხშირ შემთხვევაში განვითარდა და აღმავლობა განიცადა. იუდაიზმი

გამუდმებით მოიცავს იმ საზოგადოებისა და კულტურის ზეგავლენას, რომელშიც უხდება ცხოვრება. დიასპორის არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიის მანძილზე და დღემდე სხვადასხვა ქვეყნების და ეპოქათა ებრაელებს განსხვავებული რელიგიური ადათ-წესები, რიტუალები თუ ტრადიციები ახასიათებთ, მაგრამ ყველა ისინი ებრაელები არიან. ასეთივე სულისკვეთებითაა გამსჭვალული მიშა ჯანაშილის ადრეული შემოქმედება.

საქართველოსადმი დიდი სიყვარულისა და მადლიერების მიუხედავად, ოჯახური პირობებიდან გამომდინარე, თავისი შემოქმედების დიდი აღმავლობის პერიოდში, მან მიიღო გადაწყვეტილება თავის ისტორიულ სამშობლოს დაბრუნებოდა. იერუსალიმი მის მშობლიურ ქალაქად და ახალი ენერჯისა და შთაგონების წყაროდ იქცა. მისი შემოქმედებითი ცხოვრება კიდევ უფრო ნაყოფიერი და მრავალფეროვანი გახდა. იგი თავდაუზოგავად მუშაობდა და დამეების თვეით ქმნიდა ისტორიულ ტილოებს ისრაელზე, სერებს იერუსალიმზე, ცვათზე, თბილისზე, მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების ასობით პორტრეტებს (ალბერტ აინშტეინი, უილიამ შექსპირი, რამბამი, მოშე რაბინუ, შოთარუსთაველის ტრიპტიქი, ბორის გაპონოვი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, სოლომონ მიხოელსი, ისრაელისა და საქართველოს ცნობილი მხატვრები, მწერლები, მეცნიერები, გამომგონებლები და სხვა).

მიშა ჯანაშილმა შექმნა ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებლის დიდი ფერწერული ტილო „თეოდორ ჰერცლი ლონდონში“, ცნობილი მწერლის გერცელ ბაახოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სურათები, მრავალი ფერწერული ტილო მეორე მსოფლიო ომის თემაზე.

მ. ჯანაშილის ყველაზე ცნობილი ფერწერული ტილო „რაბინთა დისპუტი“ ქართველ ებრაელთა ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ისტორიულ თემას ეთმობა. მხატვარმა ორივე სამშობლოს ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენა



מדליה רשמית
זו מוקדשת לצייר הראשון מיהודי גורגיה,
הצייר הדגול מרדכי ג'ושווילי ז"ל
שנה להולדתו 70

მორდეხაი - მიმა ჯანაშვილი - საყვარელ ხალხთან ერთად
„მართალია მიმა ჯანაშვილი მოღვაწეობს საქართველოში, უმღერის ქართველ ხალხს, მის მიწას, მზიურ საქართველოს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ და ვიცით, რომ ის მთელი სულითა და გულით აერთიანებს ქართულ-ებრაულ თემს. შეუპოვრად ცდილობს მათ შერწყმას და საოცარი განცდით გადმოსცემს ებრაულ სულს თავის შემოქმედებაში... მ. ჯანაშვილმა, სრულიად ახალგაზრდად, უკვე თქვა თავისი სიტყვა სახეით ხელოვნებაში და ის უნდა ჩაითვალოს გერცელ ბაზოვის ტრადიციების გამგრძელებლად, ებრაული მხატვრული შემოქმედების ფუძემდებლად. მიმა ჯანაშვილი ძირითადად ეროვნული მხატვარია და სწორედ ამაში ვხედავთ მის ღირსებას.“

საპატივმოქმედო ანდრეა ავაშიძე

„მოხარული და ბედნიერიც ვარ საყვარელ მხატვარზე რომ ვისმენ ამდენ ქება-დიდებას, მაგრამ მან კი არ თქვა თავისი სიტყვა მხატვრობაში, ის ახლა აპირებს სიტყვის თქმას, ახლა იფურჩქნება, ახლა ვაუკაცდება, აწი მოველით მისგან ნამდვილი სიტყვის თქმას, ის მაჭარბია, რომელიც დულს, ჩუხჩუხებს, არ ეტყუა ჭურჭელში და გადმოდენას, გადმოღვრას, დაღვინებას აპირებს - მალე ვიხილავთ და ვიგრძნობთ მის ძალას და სიმაგრეს, ის ხომ სრულიად ახალგაზრდაა. მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, დიდი წარმატება ხელოვნების რთულ გზაზე და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.“

რაფიელ ელიზბუღაშვილი

„მიმა ჯანაშვილის თამაშობით გაუმარჯოს ქართველ და ებრაელ ხალხს, საქართველოს, სადაც არ ყოფილა ქართველ ებრაელთა დარბევები, შევიწროება, ცხოვრობდნენ მძურად, მე-

გობრულად... მიხარია, რომ მხატვარი თავისი შემოქმედებით უმღერის თავის ორ სამშობლოს - საქართველოსა და ისრაელს, ქართველ და ებრაელ ხალხებს.

დაგვლოცოს მარჯვენა, მიმა ჯანაშვილი!“

ამბროსი შაბუშიანი

კიდევ და კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ მ. ჯანაშვილის შემოქმედება საქართველოში იყო მეტად გაბეული ნაბიჯი, სადაც დაანახა ქართველ და ებრაელ საზოგადოებას, რომ საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიქმნას ეროვნული სულით გაუღენთილი ნაწარმოებები... ქართველი ებრაელობა ამას ელოდა ათეული წლები!!!

ჩვენ უკვე გვყავს მხატვარი, რომელსაც აინტერესებს ჩვენი ხალხი, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ჭირი თუ ღვინა... არის კაცი, რომელსაც შეუძლია ფერისა და ნახატის საშუალებით გადმოსცეს ხალხის ყოფა-ცხოვრება, ასახოს სინამდვილე...“- სიამაყით ამბობდნენ ქართველი ებრაელები საქართველოში. დაულოცოთ მარჯვენა ჩვენს საამაყო მხატვარს - მორდეხაი-მიმა ჯანაშვილს!

მხატვარი რაფიელ იმედი (იმედიანი)

ადამიანური სილამაზის მხატვარი!

ძველი თბილისის შვილია მხატვარი მიმა ჯანაშვილი... იგი ერთგულია ტრადიციისა, როგორც თბილისის პატრიოტი. მის საოცარ სურათებზე შეყვარებული მხატვარი შეგნებულად არ ეთანხმება რომელიმე მხატვრის გამოცდილებას. ცდილობს იყოს გულწრფელი, საკუთარი ენითა და შესაძლებლობით მოპყვეს თავისივე განვლილი ცხოვრების ამბავი. ალბათ, იყო მის ბავშვობაში ის ბუნდური წამი, როცა ქუჩაში მიმავალი პატარა ბიჭი წამით შეჩერდა, თითქოს ქვეყნიერება, ცაც, დედაშიწაც, ვარსკვლავებიც და თბილისის ქუჩებიც, შედეგა და მოიხიბლა შთაგონებით აღსავსე მისი თვალები.

მიმა ჯანაშვილი დღემდე ხატავს იმ უცებ დანახულ ქვეყანას...

იგი ფანტოზობდა მრავალმხრივი მხატვარია, რაც მის დიდ ნიჭზე და უნარზე მეტყველებს, მაგრამ მინც მისი პეიზაჟის ცენტრი ადამიანი ხდება, რასაც ძალიან მარტივად გადმოსცემს. ასე შემოდიან მ.ჯანაშვილის სურათებში თბილისელი მშრომელი ხალხი: შუშის მჭრელები, მეწვოვეები, მძინარე მოხუცი, წაბლის გამყიდველი, მეფევილები, ლამაზი ქალები, ფართოდ თვალგახეული ბავშვები და სხვა მრავალი, მაგრამ დიდ ოსტატობას აღწევს ჯანაშვილი ებრაელთა სახეების ხატვისას. ეს მისი ორგანული თემაა და საოცარი უშუალობით დანახული ცხოვრება - არა მარტო ფსიქოლოგიური პორტრეტის ნიმუშია, არამედ ადამიანისადმი სიყვარულის, მისი პატივისცემის დადასტურებაც...

ვფიქრობ, ვინც კი პატივს სცემს ადამიანურ სილამაზეს, გულგრილი ვერ დარჩება მისი სურათების მიმართ, რადგან მორდეხაი-მიმა ჯანაშვილის შემოქმედება ბევრ რამეს გვეტყვინს საულისხმოსა და საინტერესოს იმ ცხოვრებაზე, რომელიც ასე ძალიან გვიყვარს.

მეგრული

ბიორგი ხუხაშვილი
„მუთაისი“ 1970 წ.

ხელოვნება უძირო ჭაა...

აღფრთვანებული ვარ მიხეილ ჯანაშვილის ნამუშევრებით: ყველაზე ძნელი ის არის, რომ მხატვრობას შეუნარჩუნო

მისი ნამდვილი დანიშნულება, არ გადაუხვიო რეალისტურ გზას, არ გადაუსვა ხაზი კლასიკურ ტრადიციებს, რომლებსაც ბევრი მხატვარი ასცდენია. მიმა ჯანაშვილის შემოქმედებაში იგრძნობა კლასიკისა და თანამედროვეობის ჰარმონიული შერწყმა, შეხმატკბილება.

მისი ხელოვნება გაფურჩქნის სტადიაშია, ის ხომ ძალიან ახალგაზრდაა და ვუსურვოთ მეტი წარმატებები ხელოვნების რთულ გზაზე...

ხელოვნება ხომ უძირო ჭაა...

მომღერალი
ლამარა ჭყონია
მუთაისი 1970 წ.

„მს სურვილი ვმისრულე
შარით არ დამაშინო,
ჩემს სურათს თუ მოგაწოდებ
ბამახარებ ჯანაშვილიო!!!“

ირაკლი აბაშიძე

მორღმანი ჯანაშვილი

მხატვრის დღიურიდან

ვენაში ვართ. ხალხის სამყოფელი შემოღობილია, დაცულია ისრაელის ჯარისკაცებით; კეთილმოწყობილი ბინები, კვება შესანიშნავი, ხალხი გატაცებულია სხვადასხვა საინტერესო საკითხებით, გავეცანი იქაურ ბიბლიოთეკას, რაც მე მაინტერესებდა, ვნახე ისრაელში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები ყველა ენაზე, რითაც აღტაცებული დავრჩი. წავაწყდი ჟურნალს „ისრაელი“, სადაც ჩემზე მოთავსებული იყო მხატვარ რაფო მოშიაშვილის სტატია - „მხატვარი და მოქალაქე“, თანდართული რამდენიმე რეპროდუქციით. სტატიამ ძალიან გამახარა, წამახალისა კიდევ. თანაც გავიმსჯეალე დიდი მადლიერების გრძობით. ჩემი თანამემამულე მხატვრის მიმართ სტატია, ჩემ ჩასვლას დაუკავშირა. ერთგული, გონიერი აღმოჩნდა. საერთოდ რაფაელ მოშიაშვილი ძალიან კარგი მხატვარი და კარგი ადამიანია, უპრეტენზიო მეგობარი. ორი დღით ადრე შეგვატყობინეს ისრაელში გაფრენის დრო. ვზივარ ფანჯარასთან კომფორტაბელურ თვითმფრინავში, თანაც მძიმე ფიქრებში ვარ ჩაფლული. მაწუხებს სულიერი განცდა, გაოგნებული ვაკვირდები მიდამოს: ნუთუ, შექმლვს დავივიწყო ჩემი თბილისი, ჩემი ბავშვობა, მეგობრები, იქაური წყენა თუ სიხარული, ჩემი წარსული. ძნელად მიღწეული წარმატებები.

მხატვარი გიგო ზაზიაშვილი, მისი თბილისური ღვინის სარდაფი, ფიროსმანის მოხატული დუქნები, რომლებიც არ ამომდის გონებიდან, გულიაშვილის კინტოები ლაღოს ხელგაშლილი კინტაური და ჩვენი გალაკტიონის ლექსთა ბუტბუტი ღვინის სარდაფიდან.

უპ, რა მდიდარი ვყოფილვარ და არ ვიციდი. რამდენი სიყვარული შემიძლია, რამდენი რამ ეტყუა ჩემს გულში, რამდენი ცეცხლი მინთია.

ვზივარ ფანჯარასთან გაუნძრევლად, გათიშული, სხვა სამყაროში გადავარდნილი და სადღაც შორს ვფიქრობ. ისევ იმ წერტილს მიჩერებივარ, საიდანაც მოვედი და უცებ ვვხიზლდები, გამოჩნდა დედაშიწის ზედაპირი, ვაკვირდები მიდამოს... მოვიხიბლე, მომწვანო, მოხაკისფერო მინდვრებისა და ველების ხილვით, აყვავებული ბუნქა-ბუნქა ყვავილებით. უნებლიედ გამახსენდა დავით კაკაბაძე - თავისი ხალხისათვის ნაქსოვი პეიზაჟებით. ფიქრები, ფიქრები...

სტიუარდმა გაგაფრთხილა, ქაბრები შემოგვეკრა, სულ მალე ისრაელის მიწაზე დავეშვებითო. თვითმფრინავი დაეშვა ქ. ლოდის ბენ-გურიონის სახელობის აეროპორტში. მეზავრებმა სიხარულის ტაში შემოკრეს და წამოიწყეს ებრაული პოპულარული სიმღერა „ჰავანა-ნავილა“, შეიქმნა ჟრუნტელის მომგვრელი, ძალზე ამაღლებელი ატმოსფერო...სიცლ-ტირილში, ყრიაბულსა და შეძახილებში ფეხი დავადგით ისრაელის მიწას ლოდში. შეგვიყვანეს ცალკე განყოფილებაში და ძალიან თავზიანად გადმოგვცეს ღრობითი პასპორტი „თეუდათ ოლე“ და ციციო-ტალეთი-თეფილინი თავისი ჩანთებით-საჩუქრად მამაკაცებს... გამოვედით, შემოგვეგებნენ მოლოდინით აღზნებული ჩვენი ოჯახის წევრები: ჩემი მოხუცი დედა, დები, ძმა, ნათესავ-მეგობრები. იყო სიხარულის მომგვრელი ცრემლიანი შესვედრები...

მოვიტხოვე წყალი... ველავდი... ჩემმა საყვარელმა და ერთგულმა ძმამ სასწრაფოდ გააჩინა ცივი ლუდი, მინერალური წყლები, ხილის წვენები, ლიმონადები.რითაც აღტაცებაში მოვედი ასეთი სიუხვის გამო და ნელ-ნელა დავწყნარდი. სიხარულით გავემგზავრეთ ორიუდაში, სადაც ცხოვრობდნენ. როზას მოეშალდებინა ჩვენს დასახვედრად 30-კაციანი მდიდრული სუფრა, სადაც მთელი დღე დაუშთავრებული სიხარული და დროსტარება იყო. ძალიან ვისიამოვნეთ, სამი დღე ვთავალიერებდი, რაც კი შემქმლო მენახა და შემდეგ წავედით ქ. ცფათში - სადაც გავგანაწილეთ მთელი ჩემი ოჯახის შემადგენლობით - მხატვართა ქალაქში - ენის შესასწავლად დახურულ ულპანში - სასტუმრო ცფათში.

ნები და ფაქტები დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძობით აღბეჭდა ტილოებზე. საოცრად შთამბეჭდავია მისი ნამუშევრები „მეფურის ომი“, „ვედრება“, „მაცადის დაცვა“, „მეორე ბეთ შამიკაშის დანგრევა“, „ალია ისრაელში.“

მრავალრიცხოვანმა პერსონალურმა გამოფენებმა ისრაელსა და საზღვარგარეთ მხატვარს უდიდესი აღიარება და პოპულარობა მოუტანა.

მორდეხაი-მიმა ჯანაშვილის ხელოვნებას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი უკავია ქართველ ებრაელთა ისტორიაში. მისი მრავალფეროვანი, ნაყოფიერი და შინაარსობრივად უადრესად საინტერესო შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და განხილული, ხოლო რაც შეეხება მის პიროვნებას და მოღვაწეობას, ვერიკო მეგრელიშვილი-ჯანაშვილმა მეუღლის ხსოვნისადმი მიძღვნილ წიგნში დეტალურად და სრულად მოუყარა თავი მხატვრის საარქივო მასალას, წლების მანძილზე მისი მისამართით გამოქვეყნებულ თუ გამოთქმულ შეფასებებსა და რეცენზიებს, მრავალრიცხოვანი გამოფენების შთაბეჭდილებათა წიგნიდან ამონარიდებს, მისი მეგობრების წერილებს, მისადმი მიძღვნილ გულთბილ სიტყვებსა და ლექსებს. წიგნი ვერა მეგრელიშვილი-ჯანაშვილის წინათქმით, იაკობ ნიკვაშვილი-გოლანის პროლოგითა და პროფესორ-აკადემიკოს იცხაკ დავიდიის შესანიშნავი წერილით იწყება და ქრონოლოგიურად გვამც-

ნობს მორდეხაი-მიმა ჯანაშვილის დაწვრილებით ბიოგრაფიასა და მის შემოქმედებით გზას, მრავლისმთქმელია საქართველოსა და ისრაელის კულტურისა და საზოგადო მოღვაწეთა წერილების მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და მის მნიშვნელობაზე მიუთითებს (ჯემალ აჯიაშვილი, დავით შიმშილაშვილი, გერშონ ბენ-ორენი-წიწუაშვილი, ანდრია ავაქიძე, გიორგი ხუხაშვილი, რაფაელ მეშელი, ეთერ ფინხაძე, თამარ კეხერაშვილი, ზაირა დავარაშვილი, ფანი ჯინჯიხაშვილი, ქეთი ბენ სიმონი, ეფრაიმ გური, მორის (მორდეხაი) დანიელოვი, აკაკი გელოვანი, იოსებ ტოლედანო და სხვა)

ქალბატონმა ვერიკომ დიდი სითბოთი და სიყვარულით შექმნა მეუღლის როგორც მხატვრისა და ადამიანის პორტრეტული სახე და ამასთანავე, გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგაც გაგრძელებული შემოქმედებითი სიცოცხლის ამსახველი სურათი.

წიგნში მოყვანილია სომერსეტ მოემის სიტყვები „ორი რამ ამართლებს ადამიანის არსებობას - ხელოვნება და სიყვარული.“ ასე ცხოვრობდნენ ერთად მორდეხაი-მიმა ჯანაშვილი და მისი მეუღლე და ამავე სულისკვეთებით ღირსეულად აგრძელებს ცხოვრებას ვერიკო მეგრელიშვილი-ჯანაშვილი.

ლელა ჟიჟაშვილი
ხელოვნებათმცოდნე

ბაძვა სჯობია შურსაო

(პროფესორ გერცლ ბარის – გელა ეხისკელაშვილის – სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი)

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სამეცნიერო კომისია არა პროფესიული საბჭოა, რომ მეცნიერის აკადემიური და საკვალიფიკაციო დონე შეაფასოს, არამედ ჩვენი თემის წამყვან მეცნიერთა წარმომჩენას და დაფასებას ისახავს მიზნად. ჩვენს ქართულ-ებრაულ საზოგადოებაში მეცნიერი მხოლოდ რიცხვში როდია მოსახსენებელი, თითქმის ნებისმიერ სფეროში ჰყვავს საუკეთესო წარმომადგენელი, რომელთა წარმატებები და მიღწევები ფრიად საამაყო და საპატივცემოა. „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.“

პროფესორი გელა ბარი, გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, ბრძანდება თავის დარგში ერთადერთი პროფესორი, დამსახურებული გამოგონებელი – 23 საპატენტო მოწმობის მფლობელი, ისრაელის საფეიქრო და მოდის ასოციაციის პრეზიდენტი; ბენ-გურიონის სახელობის (ისრაელში) და გრან-პრი (გერმანიაში) პრემიების ლაურეატი. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებს“ სრულად შეესაბამება ამ ღვაწლმოსილი მეცნიერის საქმიანობას.

სამეცნიერო სფეროში დგება პერიოდი, როდესაც შედეგები თვით მეტყველებენ რესპონდენტის ღირსებაზე, მის დაუშვებელ ენერჯიასა და საერთაშორისო აღიარებაზე.

ბატონ გელაზე თამამად ითქმის: „ჭკვიანის ერთი დღეო სულელის მიერ სიცოცხლედ ღირსო.“ პროფესორ ეხისკელაშვილის სამეცნიერო ასპარეზი, განათლება, პროფესიული გამოცდილება,ჯილდოები და პატენტები იმის დასტურია, რომ „გზა ვინც იცის – ფეხს არ წამოჰკრავს“. მკვლევარი გელა ბარი – 7 მონოგრაფიის, 21 ბროშურის და 380 სტატიის ავტორია – რაც ნათელი მტკიცება არის იმისა, რომ ცოდნა კაცს არ ამძიმებს და არც დაეკარგება. ჩემი ეს წერილი არა მსურს, რომ ავტობიოგრაფიული ნარკვევი იყოს, მხოლოდ აუცილებელს კი გვერდს ვერ აუვლი. პროფესორი გელა ეხისკელაშვილი ბრძანდება: ისრაელის ინჟინერთა კავშირის წევრი, ინჟინერთა და არქიტექტორთა ასოციაციის წევრი, საფეიქრო ასოციაციის წევრი, სტანდარტების ინსტიტუტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მსუბუქი მრეწველობის კონსულტანტი, ბამბის წარმოების და მარკეტინგის საბჭოს წევრი, საფეიქრო ასოციაციის საარბიტრაჟო კომიტეტის წევრი, ბამბის წარმოების და მარკეტინგის ფერადი ბამბის სპეციალური სამუშაო კომიტეტის საბჭოს წევრი, საფეიქრო და მოდის ასოციაციის პრეზიდენტი.

„შენკარ კოლეჯში“ – აკადემიურ პერსონალთა კავშირის თავმჯდომარე, საერთაშორისო მმართველთა საბჭოს წევრი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, დირექტორთა საბჭოს წევრი; საერთაშორისო საფეიქრო მრეწველობის ფედერაციის ორი სამუშაო კომიტეტის წევრი: თაფლის ცვარი (Honeydew) და მტვერი და გამონაყოფი (Dust and Trash) (ITMF), გერმანია. საერთაშორისო ასოციაცია უქსოვადი-ქსოვილების (Nonwoven) მრეწველობის კომიტეტის წევრი (INDA) - ამერიკის შეერთებული შტატები,

ინტერნაციონალ თეხტილ ენუფაცტურერს ელერატიონ (ITMF) ცენტრალური კომისიის წევრი- მაღალი მოცულობის ინსტრუმენტის ტესტირება (HVI) და თაფლის ცვარი (Honeydew), გერმანია.

პროფესორ გერცლ ბარის პატენტთა შორის აღსანიშნავია:

- შალის პერიოდული სავარცხნო მანქანის გამოგონის მოწმობილობა ო. 166266, სსრკ, 1964
- შალის პერიოდული სავარცხნო მანქანის მატყლის ლენტის 2 ნაწილად გაყოფა და კონვერტირება ო. 232805, სსრკ, 1968



- შალის პერიოდული სავარცხნო მანქანის გამოგონის მოწმობილობა. ო. 242720, სსრკ, 1969
- უწყვეტი სავარცხნო ხაზი ნართის წარმოებაში. ო. 27848, სსრკ, 1970
- ლენტის ფორმირების მოწყობილობა. ო. 284658, სსრკ, 1970
- მეთოდი ლენტის უთანაბრობის განსაზღვრა მატყლის სავარცხნო მანქანაზე. ო. 323473, სსრკ, 1971
- ბოჭკოების შემრევი მანქანა. ო. 457233, სსრკ, 1974
- ლენტების შემრევი მანქანა. ო. 480550, სსრკ 1975
- სავარცხნო და სალენტო მანქანების შეერთება. ო. 2095057/18-12-19, სსრკ, 1975
- დიაგრამის ანალიზატორი. ო. 01, სსრკ, ცენტრალური შალის კვლევითი ინსტიტუტი, 1966
- გაუმჯობესებული დიაგრამის ანალიზატორი. ო. 05, საბჭოთა კავშირის ცენტრალური შალის კვლევითი ინსტიტუტი, 1970
- ავტომატური დიაგრამის ანალიზატორი. №12 ცენტრალური შალის კვლევითი ინსტიტუტი, სსრკ 1972
- ნარჩენების მექანიკური შეგროვება მატყლის სავარცხნო მანქანაზე, ონიონ საფეიქრო კომბინატი, ო. 35, სსრკ, 1975
- კვების მექანიზმი მატყლის სავარცხნო მანქანაზე. №: 521758, სსრკ, 1976
- 63561 / 1, საფრანგეთი, 1976; ა - 16841, დასავლეთი გერმანია, 1977
- ფასონური ნართის წარმოება სავარცხნო მანქანაზე. ო.

- 59024, ისრაელი, 1979
- ბამბის მკურნალობა. ო. 74469, ისრაელი, 1985 ALM
- ბამბის მკურნალობა. პატენტები: 861023521, ევროპა, 1986; 06 / 8339878, აშშ, 1986;
- 61 - 40487, იაპონია, 1986 და 1804498, სსრკ, 1986
- მატყლის სავარცხნო მანქანა № PBA / ე / 86417, ინგლისი, 1990
- მოკლე ბოჭკოების შემცირება მატყლის სავარცხნო მანქანაზე, No. 3 / 100645, ისრაელი, 1994
- ფასონური ნართის წარმოება როტორის სართავ მანქანაზე. No. 113629, ისრაელი, 1995
- ძლიერი საკერავი ნემსის დიზაინი. № 66203, ისრაელი, 1995
- მეთოდი და აპარატურა მოკლე ბოჭკოების შემცირება მატყლის სავარცხნო მანქანაზე, NO. 5, 504, 975, აშშ, 1996
- მოტორიზირებული ზმეიკა (Zipper Fastener). NO 35U.SA 122 (ბ) (2) (ბ) (ი), 2008.

პროფესორ გელა ბარის შინაარსიანი სამეცნიერო მოღვაწეობა მიგვითითებს, რომ „ვინც წყალზე გადო პატარა ხიდიო, მაღლი ჰქმნა ერთობ ღიდიო.“ მისი ღირსეული გამოგონებანი მრავალი ჯილდოთი არის აღნიშნული, მათ შორის:

- 1964 – სსრკ სახალხო მრეწველობის მიღწევათა გამოფენა (ВДНХ) – სერტიფიკატი პატენტის გამოყენება მრეწველობაში;
 - 1966 - ვერცხლის მედალი - სსრკ სახალხო მრეწველობის მიღწევათა გამოფენა (ВДНХ);
 - 1970 - ოქროს მედალი - სსრკ სახალხო მრეწველობის მიღწევათა გამოფენა (ВДНХ);
 - 1976 - ბრინჯაოს მედალი - სსრკ სახალხო მრეწველობის მიღწევათა გამოფენა (ВДНХ);
 - 1976 – მთავრობის მედალი – დამსახურებული გამოგონებელი, სსრკ;
 - 1982– ისრაელის სახელმწიფო ბენ-გურიონის სახელობის ლაურეატი „ბამბის თერმული დამუშავება თაფლის ცვარის ზეგავლენის შესამცირებლად“;
 - 2000 – გრან პრი (Crystal) საერთაშორისო საფეიქრო მრეწველობის ფედერაცია - ITMF, გერმანია.
- ძვირფასო მკითხველო! „მჯობის მჯობი არ დაეღვევო.“ პროფესორ გელა ბარის სახელი და მონაპოვარი მისი პირადი ღირსეული წვლილია საფეიქრო მეცნიერებაში და სათანადოდ არის აღიარებული. ჩვენ კი მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ჩვენი თემის საამაყო წარმომადგენელს ღირსეული პატივი და დაფასება მივაგოთ. მრავალჟამიერი იყოს თქვენი საინტერესოდ განვლილი მეცნიერის გრძელი გზა თქვენი ლამაზი ოჯახის წევრებთან ერთად. გისურვებთ დღევრძელ, ჯანმრთელ და საამაყო მომავალს. „კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელივით თვით დაიწვას და სხვას გზასა უნათებდეს.“

ლოტორი დოდო ჩიკაშვილი – თელ-ავივის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკულტეტი

ვაჟაყობ და აბდონი ვარ თამანი
ენიფენილოვანი წარმატებით. ბი-
სურვებით სანბრძლივ, წარმატებულ
მუშაობას საუკეთესო სურვილებით.
იყავით დალოცვილი.

ისააკ ელიზაბოვი

მილოცვა მეგობარს

გელა ბარს 75 წელი შესრულებია! ნამდვილად არ მეგონა. როდესაც მითხრა პენსიაში გავედივარო, ვუთხარი, „რა დროსია-მეთქი.“ არ მჯეროდა, რომ ეს ჯანდონით სავსე, ინტერესიანი ადამიანი საპენსიო ასაკისა შეიძლება იყოფილიყო. თუმცა რა? მე მეონი, მეც მიუკუკავნებ მალე ასეთ ასაკს!

გელა ეხისკელაშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ყველა მას „გეპეი“-დ იცნობს, თუმცა ახლა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ დაერქვა სახელად) ერთ-ერთი უნიჭიერესი სტუდენტი იყო, მერე კი ასეთივე ნიჭიერი პრაქტიკოსი და მეცნიერი. მისი სამეცნიერო-ტექნიკური ნიჭი ყველაზე ფართოდ გაიშალა ისრაელში, სადაც ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტის წამყვანი პროფესორი იყო. მასსოვს, როდესაც ჩემი ელჩობისას ამ ინსტიტუტის მონახულება გადავწყვიტე, რექტორმა სწორედ გელა მოიწვია, რომელიც ყველაზე კარგად იცნობდა რთულ ტექნიკას. ის, რომ იგი კარგი პედაგოგია, დაინახე სტუდენტებთან, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ სიყვარულსა და პატივისცემას პროფესორ ბარის მიმართ.

გელა არის არა მარტო ღიდი მეცნიერი, არამედ ღიდი ადამიანიც. მან ნამდ-

ვილად იცის ადამიანის დაფასება და ნამდვილი მეგობრობა. მისი მეუღლე მარინა მისი საუკეთესო, უერთგულესი მეგობარია, რაც ყოველთვის არ ხდება ცოლ-ქმრობისას. მისი შვილიშვილი მისი ერთადერთი ქალიშვილისაგან თავის ნამდვილ მეგობრად საკუთარ ბაბუას მიიჩნევს. გელა არის ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ერთ-ერთი ღიდი საყრდენიც.

მინდა გისურვო ჩემო (და ჩვენო) კარგო მეგობარო, ძვირფასო გელა, ჯანმრთელობა, კიდევ მეტი სამეცნიერო წარმატებები (ვიცი, არ ეშვები გამოგონებლობას!) დიდხანს სიცოცხლე, ისე, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც მოისმინო გულწრფელი მილოცვა დაბადების დღესთან დაკავშირებით!

შენი რვაზ გაჩემილაქი

ვახუთი „მეორას“ რაღაცნა სულითა და გულით უპრთედა
ღირსეული პიროვნებისა და მშენიერის მიმლოცველთა ჯგუფს და
ბატონ ბელას უსურვებს სანბრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი



ვ
ს
ა
რ
ა
ს
ვ
პ
ი
ტ
ი
ხ
უ
ლ
ობ
თ

კვირის საკითხავი თავი „ვაიკჰელ“ ეძღვნება მიშქანის (გადაადგილებული გაძრის) მშენებლობას. მაგრამ მშენებლობის აღწერას წინ უძღვის შაბათის კანონების ახსნა. რაგომად თორაში შაბათისა და მიშქანის კანონები ერთად? ერთის მხრივ, ეს გავსავლის, რომ შაბათის დარღვევა არ შეიძლება მიშქანის მშენებლობის პერიოდშიც კი, ანუ ასეთი უდიდესი მიცვის შესასრულებლად კი. მეორეს მხრივ, შაბათის აკრძალულია სწორედ ის 39 სამუშაო, რომელთაც მიშქანის მშენებლობისას ასრულებდნენ.

შაბათი ებრაელი ხალხის უმნიშვნელოვანესი მიცვაა: „დაე-დაიციან ებრაელებმა შაბათი... ექვსი ღღის განმავლობაში შეასრულე ყოველგვარი სამუშაო, მეშვიდე ღღე კი – შაბათია შენი მბრძანებელი გამჩენისათვის, არ შეასრულე არანაირი სამუშაო“. შაბათის მიცვა შედის ათ მცნებაში: „რაღვანაც, ექვს ღღე ჰქმნიდა გამჩენი მეცასა და ღღემიწას, მეშვიდე ღღეს კი დაისვენა“. ჩვენც გამჩენის მსგავსად ექვსი ღღე უნდა ვიშრომოდ და მეშვიდე ღღეს დავისვენოთ. როცა ებრაელი შაბათს იცავს, ამით ის არა მარგო იმას ამტკიცებს, რომ სჯურა გამჩენის მიერ ექვსი ღღის განმავლობაში სამყაროს შექმნისა

და მეშვიდე ღღეს დასვენებისა, არამედ ის თავად ემსგავსება გამჩენს. თორაში შაბათი ითვლება გამჩენსა და ებრაელ ხალხს შორის დადებულ ნიშნად (მოწმობად). თორაში ასეთი ნიშანი (მოწმობა) სამია: შაბათი, თეფილინი და წინადაცვეთა (ბრით მილა). ვინაიდან ფაქტის დასადასტურებლად თორის მიხედვით ორი მოწმეა საჭირო, შაბათობით თეფილინს არ იღებენ. ანუ, ჩვეულებრივ ღღეს მთელი მსოფლიოს წინაშე ებრაელობა მტკიცდება თეფილინით და წინადაცვეთის ფაქტით, ხოლო შაბათს – შაბათის დაცვით და ბრით მილით. უნდა ითქვას, რომ შაბათი ეს ის მიცვაა, რომელსაც ებრაელები იცავდნენ ყველა თაობაში და ყველაზე რთულ წლებში, ამისათვის კი შაბათი ყოველთვის იცავდა მათ. მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა ებრაელები მასიურად გოვებდნენ რუსეთს და უკრაინას და მიდიოდნენ შორეულ ამერიკაში, ხშირად მუშაობდნენ კვირიდან პარასკევის ჩათვლით და შაბათს გოვებდნენ სამუშაოს, რათა შეენახათ მისი სიწმინდე. სამაგიეროდ, მათმა შეილებმა და შეილმელებმა ებრაელობა შეინარჩუნეს.

შაბათი ის ბაირადია, რომელიც გამოარჩევს ებრაელ ხალხს. არიან ისეთები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შაბათს დაჯარგავენ შემოსავლის ნაწილს, თუ არ იმუშავენ. ჩვენს კვირის საკითხავ თავში წერია, რომ ექვსი ღღის განმავლობაში გავითვლება ჩვენი საქმეები, ხოლო მეშვიდე ღღეს შაბათია – დასვენება გამჩენისათვის. მიაქციეთ ყურადღება, იმის მაგიერად, რომ ეწეროს „შეასრულე შენს სამუშაოს“, წერია „შესრულე შენი სამუშაო“. ამით კი თორაში მოცემულია დაპირება, რომლის თანახმადაც, თუ ჩვენ დავიცავთ შაბათის კანონებს, გამჩენი დარსად გვყოფს ფარნასაში ისეთი დახმარებით, რომ მოგვეჩვენება, თითქოს ექვსი ღღის განმავლობაში ჩვენი სამუშაო თავისთავად სრულდება.

მეუხედავად მიდრამისა, რომ თუ აღამიანი შაბათს იცავს, ის იცავს ყველა მიცვას და თუ პირიქით – არ იცავს არც ერთ მიცვას, აღამიანის სიცოცხლის გადასარჩენად შაბათის დარღვევა შეიძლება და მიცვაც კია.

როდესაც ხაზონ იში – მეოცე საუკუნის უდიდესი ებრაელი ბრძენი ისრაელში ჩავიდა და შაბათს ქალაქში მრავალი მანქანა დაინახა, გაუხარდა და სთქვა: „რა ღღეცვილი ქვეყანაა, რამდენი მშობიარე მიღის საავადმყოფოში შაბათს“.

შაბათი შეიძლება შევადართო საჩუქარს, რომელიც საჭმომ (გამჩენმა) უნდა მიართვას საცოლეს (ებრაელ ხალხს). თუ საცოლე საჩუქრებს უკან აბრუნებს, ესე იგი ქორწილი არ შესდგება. ასევე, გვიხსნიდა „ხაფეც ხაიმი“, შაბათის დამრღვევი, თითქოსდა, გამჩენმა არ ქნას, და არღვევს გამჩენთან კავშირს.

სხვა მრავალ კანონთან ერთად მოშე რაბეინუმ

ებრაელებს ჯერ კიდევ უღაბნოში ასწავლა, რომ შაბათს არ შეიძლება ცეცხლის ანთება.

ერთხელ, ცოლეილა იმპერატორმა აღრიანმა გამოიწვია რაბი იეჰოშუა ბენ ხანანია: „მე თქვენს მოშეშე მაღლა ვღგავარ“. „ეს როგორ?“ – გავკვირდა რაბის. „ძალიან ადვილად, მე ცოცხალი ვარ, ის კი მვეღარი. განა თქვენს წიგნებში არ წერია, რომ ცოცხალი ძალი სჯობს მეღარ ღღეს?“ (კოელეტი, 9:4).

რაბი იეჰოშუამ უპასუხა: „დაგეთანხმები, თუერთ პირობას შეასრულებ. გაეცი ბრძანება, რომ სამი ღღის განმავლობაში არაიან აანთოს ცეცხლი.“ აღრიანმა გასცა ბრძანება, მაგრამ საღამოს გერასიდან დაინახეს ერთი სახლიდან ამომავალი ალი, გაგზავნეს მსგოვრები და აღმოჩნდა, რომ იქ ერთ-ერთ ავადმყოფს ექიმმა ცხელი სასმელების დაღვევა ურჩია გაციების მოსარჩენად. „ხომ ხედავ“ – უთხრა რაბი იეჰოშუამ აღრიანს – თქვენს ქვეშევრდომებს თქვენს სიცოცხლეშიც კი არ შეუძლიათ მოითმინონ სამი ღღე და არ აანთონ ცეცხლი, ჩვენ კი ორი ათასი წლის წინ გაგვაფრთხილა ჩვენმა მასწავლებელმა მოშემ არ ავანთოთ შაბათობით ცეცხლი და, ღღემდე, არც ერთ ებრაულ სახლში შაბათს ცეცხლს არ ანთებენ.“ იქ, საღაც გამჩენმა არ ქნას, და შაბათს ცეცხლს ანთებენ, ხშირად არის ხანძრები. ამიგომ ებრაელები ყურადღებით უნდა იყვენ შაბათის კანონების დაცვისას და, მით უმეტეს საქართველოში, საღაც არაიან უშლის ებრაელებს თავისუფლად დაიცვან თორის მცნებები და, რა თქმა უნდა, შაბათი – ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი მიცვა.

შაბათთან მე პირადად მაკავშირებს ჩემთვის ძალზე დასამახსოვრებელი ისტორია. თერამეტი წლის წინ, თებერვლის ერთ ცივ ღღეს, შაბათს, სახლში ვიყავი და თორას ვსწავლობდი. უცბად კარზე დააკვირნეს. მე მივხვდი, რომ მოვიდა ვიღაც შაბათის დამცველი, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარს დარეკავდნენ. კარი გავაღე და დავინახე უცხო გოგონა ჩემს ნაცნობთან ერთად აღმოჩნდა, რომ ზამთრის არღაღებზე ლენინგრაღიდან ნაცნობთან ჩამოსულმა გოგონამ მათ სთხოვა შაბათს მიეყვანათ იქ, საღაც მას იცავდნენ, რაღვან თავაღაც უკვე იცავდა შაბათს. ჩემმა ნაცნობმა შაბათის ყველა დამცველს შორის რაგომღაც მე ამომიჩრია, თუმცა საყმაოდ შორს ვცხოვრობდი. აღბათ, გამჩენის ნება იყო ასეთი, რაღვანაც, როგორც უკვე მრავალი თქვენგანი მიხვდა, ის გოგონა ჩემი მეუღლე ღღორა იყო. ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა შაბათ ღღეს.

საქართველოს ყველა შაბათის დამცველ ებრაელს ვუსურვებ, რომ გაიდრმავონ მისი კანონების ცოდნა. მათ, კი ვინც ჯერ კიდევ რაიმე მიშემის გამო ვერ იცავს შაბათს, დაიწყო ამის გავითება თანღათანობით. მრავალ წარმატებაზე გავუთხოთ შაბათმა.

„ოსვენციმი“ თამაშგარე მღგომარეობაში



20 თებერვალს გერმანიაში ტრადიციული „ბერლინალეს“ კინოფესტივალი გაიხსნა. მის საკონკურსო ჩვენებაში ოცდაორი სურათია ნარმოდგენილი. შეიძლება ერთით მეტიც ყოფილიყო, მაგრამ გერმანელი კინორეჟისორი უვე ბოლის ნამუშევარი „ოსვენციმი“ ამ ღღისძიების ფიურიმ დაინუნა და კონკურსზე ნარმოდგენილი ფილმების ნუსხაში არ შეიტანა. სკანდაღიც ამის შემდეგ აგორდა.

გუშინ უვე ბოლმა სპეციაღური პრესკონფერენცია მოინვია და „ბერლინალეს“ ორგანიზატორები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა.

რეჟისორის განცხადებით, მისთვის უცნობია მიზეზები, რის გამოც „ოსვენციმი“ კინოფესტივალზე არ დაუშვეს. ამავედროულად, მან ბერლინის სასამართლოში „ბერლინალეს“ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ოფიციაღური საჩივარი შეიტანა... უვე ბოლი ამტკიცებს, რომ საკონკურსო ფილმების შერჩევის პროცესში, არაერთი ფინანსური დარღვევა დაფიქსირებული.

ბოლი განსაკუთრებით იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ გერმანიაში მის ნამუშევარს სრულ იგნორირებას უკეთებენ. ფილმი „ოსვენციმი“ მეორე

მსოფლიო ომის დროს არსებული საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ გადაღებული პირველი სურათია, რომელშიც იმდროინდელი მწარე რეალობა ზუსტად, ყოველგვარი შეღამაზების გარეშეა ასახული.

„ოსვენციმიში“ სხვა ანაღოგიური ფილმებისაგან განსხვავებით, მრავღადაა მკველელობებისა და პატიმრების მასობრივი განადგურების ამსახველი სცენები.

„ჩემი სურათის მთავარი თემა სწორედ რომ მკველელობაა. ფილმი ასახავს სიკვდილის ბანაკში არსებულ სინამდვილეს და ნაჩვენებია ამ საშინელი ადგილის ერთი ჩვეულებრივი „სამუშაო“ ღღე. ამ სურათში ვერ იხიღავთ მთავარ გმირებს და ვერ დააფიქსირებთ რაიმე სიუჟეტურ ხაზს. შევეცადე, „ოსვენციმი“ განსხვავებული სურათი გამოსულიყო. აღრე გადაღებული ფილმებში ნაჩვენებია იყო ერთი ან რამდენიმე გმირის ცხოვრება. „ოსვენციმიში“ ეს სტერეოტიპი დაამსხვრია და მისი უპირველესი პერსონაჟი, ამ სიკვდილის დაწესებულებაში მცხოვრები რამდენიმე ათასი აღამიანია“, – განაცხადა უვე ბოლმა.

„თუ გერმანიაში მავანი და მავანი კინორე-

ჟისორი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნათელი მომენტების ასახვას შეეცდება, მას ყველა სტრუქტურა გვერდში უღგება. მისთვის საჭირო თანხების მოძიება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს, ტელევიზიები მუდმივ მონვევებს უგზავნიან, სხვადასხვა კინოფესტივალბიც ზედმეტი ყურადღებით ანებივრებენ. საკმარისია ოსვენციმის ან მეორე მსოფლიო ომის დროს არსებული სხვა სიკვდილის ბანაკების თემატიკა დაინტერესდე და შენთვის ყველა კარი იხურება“, – ამ სიტყვებით დაასრულა პრესკონფერენცია უვე ბოლმა.

„ოსვენციმის“ გადაღების პროცესის დასრულების შემდეგ გერმანიაში მწვავე დისკუსია გაიმართა. მრავალი კრიტიკოსი შეცხუნებული დარჩა ამ ფილმში უხვად ნაჩვენები ძალადობისა და მასიური მკველელობების სცენებით.

სურათის წინააღმდეგ გაიღამქრა გერმანიის კინემატოგრაფისტთა კავშირმა და მისი დიდ ეკრანებზე გაშვების აკრძალვის ინიციატივით გამოვიდა. ამ მონოღებამ პირველი შედეგი უკვე მოიღანა და ფილმი „ბერლინალეს“ ფესტივალზე არ დაუშვეს.

გიორგი ბაჩინიღამ

კონფლიქტი არაბულ სამყაროში და ისრაელი

ისრაელის გენერალური შტაბის ახალმა ხელმძღვანელმა გენერალ-ლეიტენანტმა ბენი პანცმა განაცხადა, რომ ისრაელი სერიოზულ თავდაცვითი პრობლემების წინაშე დგას და დიდი სამხედრო ოპერაციებისათვის ემზადება. როგორც mignews.co.il გვაუწყებს, პანცმა ხაზი გაუსვა, რომ „მტრის მიერ სამხედრო კონფლიქტის წამოწყების შესაძლებლობა, მშვიდობისკენ მიმართული იმედების მიუხედავად, ისრაელის მხრივ სამხედრო ძალის მხარდაჭერისას და დაუყოვნებელი რეაგირებისათვის მზადყოფნას საჭიროებს.“

ირანის გზავნილი სირიაში

ირანი სირიას სამხედრო საზღვაო ფლოტის ორი სამხედრო ხომალდის სირიის პორტებში განთავსებაზე მორიდდა. ეს ყველაფერი მსოფლიოში განვითარებული სხვადასხვა მოვლენების ფონზე ხდება, რასაც ისრაელისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ირანის პრეზიდენტი მანძელ ახმადინეჯადი საომარი რიტორიკის შემცველ განცხადებებს აკეთებს, სიონისტური წარმონაქმნის მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან მალე გაქრობას თაობაზე. ეგვიპტესა და ლიბანში სამხედრო გადატრიალებისა და კრიზისის შედეგად, შესაძლოა, ხელისუფლებაში ისრაელის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ისლამისტური რეჟიმები მოვიდნენ. იორდანის ოუსტიციის მინისტრი კი ანტიისრაელური დემარშით გამოიჩინა და ისრაელი, იორდანის სამეფოს მტრად მოიხსენია.

მეგვიპტე ირანულ ხომალდებს ისრაელის საზღვაო ძალიდან მიხსნის

ირანულმა სამხედრო ხომალდებმა სუეცის არხით გასვლა და ისრაელის მხარეს მოხვედრა ვერ შეძლეს, რადგან ეგვიპტის ხელისუფლებამ მათ არხის გავლის უფლება არ მისცა. ამ ინფორმაციას არაბულ ტელეარხ „ალ-არაბიაზე“ დაყრდნობით სააგენტო „კურსორი“ გვაუწყებს. თუმცა, სუეცის არხის ოპერატორი კომპანია დაჟინებით გვარწმუნებს, რომ თეირანმა უბრალოდ უარი თქვა მისი სამხედრო ხომალდების ხმელთაშუა ზღვაში გატარების იდეაზე „ეგვიპტის ხელისუფლებისათვის შესაბამისი ნებართვის მოპოვების მიზნით არც კი მიგვიმართავსო“.

აღინიშნება, რომ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა სთხოვა ეგვიპტის უმაღლესი სამხედრო საბჭოს წარმომადგენელსა და თავდაცვის მინისტრს მუჰამედ ჰუსეინ ტანტავის (იგი ამჟამად დროულად ქვეყნის დე-ფაქტო მეთაურად გვევლინება), რომ არ დაეშვა ირანის ხომალდების მიერ სუეცის არხის გავლა. ოუწყებთან, რომ ტანტავი ბარაკს „ამ საკითხის წინარ და ეფექტურ გადაწყვეტას“ დაპირდა. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა კი განაცხადა, რომ სუეცის არხის გავლას ორი ირანული სამხედრო გემი აპირებდა. მისი თქმით, გემების ხმელთაშუა ზღვის გავლით ისრაელის სანაპიროებთან უნდა გაეცურათ და სირიამდე მიადგინათ – „ეს პროვოკაცია ირანის დღითიდღე მზარდ თავდაჯერებას ადასტურებს“ – დაურთო ლიბერმანმა.

ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ ირანის ხელისუფლების ამოცანა არა იმდენად ისრაელის გამოწვევა, რამდენადაც საკუთარი მოსახლეობის საშინაო პრობლემებიდან ყურადღების გადატანაა.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა ისრაელის სანაპიროებთან მიახლოებულ ირანულ სამხედრო გემებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ისრაელი ყურადღებით ადევნებს თვალს ირანული გემების მანევრებს და ამის შესახებ მოკავშირე სახელმწიფოებს აცნობებს – გვაუწყებს სააგენტო „კურსორი.“ ისრაელი მომავალშიც განაგრძობს ირანული გემების თვალყურის დევნებას“ განაცხადა მინისტრმა.

რედაქციისათვის: როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, 22 თებერვალს ირანის სამხედრო გემებმა სუეცის არხი გადალახეს და ისრაელს ჩაუარეს. ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ სუეცის არხი ისრაელისათვის არასასურველმა გემებმა გადაკვეთეს.

„მუსლიმთა სამიო“

რედაქციისათვის: 22 თებერვალს ირანის გემებმა სუეცი არხი მაინც გაიარა და ისრაელის საზღვრებთან ახლოს დაბინავდნენ. ამ, თითქმის 40 წლის განმავლობაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ისრაელის მტრული ძალები სუეცის არხს გაჰკვეთენ და ისრაელთან მშვიდობას არღვევენ.

აშშ-ს ეროვნული დაზვერვის ხელმძღვანელის – ჯეიმს კლაპერის ცნობით, მოძრაობა „მუსლიმთა სამიო“ ეგვიპტის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ეგვიპტესა და ისრაელს შორის არსებული სამშვიდობო შეთანხმება არ დაიცავს – გვაუწყებს I ინეწს. ციში არმიის რადიოზე დაყრდნობით, კლაპერმა ასევე დასძინა, რომ „მუსლიმთა სამიო“ არის პოპულარული მოძრაობა ეგვიპტეში, მაგრამ „მათი ხმა ერთადერთი არ იქნება პარლამენტში“.

შეგახსენებთ, რომ როგორც ექსტრემისტული მოძრაობა „მუსლიმთა სამიო“ წარმომადგენლებმა 15 თებერვალს განაცხადეს, ისინი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას გეგმავენ. მოძრაობა „მუსლიმთა სამიო“ ეგვიპტეში 1928 წელს შეიქმნა, ხოლო შემდეგ მიულ მსოფლიოში გავრცელდა და დღეს მილიონობით მიმდევარი ჰყავს. აშშ-სა და ევროპის მრავალ ქვეყანაში აღნიშნული მოძრაობას აკრძალულია, როგორც „ტერორისტული ორგანიზაცია“, ეგვიპტეში კი ყველაზე მასობრივ არასაპარლამენტო ოპოზიციურ გაერთიანებას წარმოადგენს. ეგვიპტელებმა ჟურნალისტი აბუჟად აიგდეს შეძახილით: „ებრაელი“!

ეგვიპტელთა გამძვინვარებულმა ბრბომ კაიროში ტახირის მოედანზე CBS-ის ჟურნალისტი ქალი ლარა ლოგანი აბუჟად აიგდეს შეძახილებით „ებრაელი, ებრაელი!“ წინა დღით ლასამ, რომელსაც ნამდვილად არ აქვს ებრაული ფესვები, ინტერნეტ გამოცემა Esquire.com –ს განუცხადა, რომ ეგვიპტელებმა ჯარისკაცებმა მას და მის დაქვემდებარებაში არსებული ჟურნალისტთა ჯგუფს თავი მოაბეზრეს უსაფუძვლო ბრალდებებით ისრაელის სასარგებლოდ შპიონაჟში.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ლარა ლოგანს არ მიუმართავს ეგვიპტელი ექიმებისათვის, რადგან არ ენდო ადგილობრივ დაცვის სამსახურს. არც ახალი ხელისუფლებისათვის მიუმართავს საჩივრით, რადგან მიიჩნია, რომ მას არ დაუჯერებდნენ და მეტიც – გისოსებს მიღმა მოათავსებდნენ. იგი დაბრუნდა სასტუმროში და ორი საათის შემდეგ ჩარტერული რეისით აშშ-ში გაფრინდა, გამოცემა ასევე ოუწყება, რომ ექიმები, გამძვინვარებული ბრბოს მიერ ლოგანისთვის მიყენებულ ფიზიკურ ტრავმებს აფასებენ, როგორც „სერიოზულს“.

ნიკოლა სარკოზი: საფრანგეთის მხარეში უმცირესი აქცს

9 თებერვალს ნიკოლა სარკოზი მიწვეული გახლდათ საფრანგეთის ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გამართულ 28-ე სადილზე. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იუდაიზმი დაეხმარა საფრანგეთს, შეექმნა თავისი სახე და დღემდე ყოველი ებრაელი ამ „ალექიმური“ პროცესის მონაწილეა.

– საფრანგეთს არა მხოლოდ ქრისტიანული ებრაული ძირებიც აქვს – თქვა სარკოზიმ. ებრაული მიკვები ჩვენი ეკლესიების ასაკისაა. ხოლო სინაგოგების არქიტექტურა ჩვენი სამლოცველოებს გვახსენებს თავისი ბაროკოს სტილით. იუდაიზმი საფრანგეთის ნაწილია და ნებისმიერ ფრანგს დამოუკიდებლად იმისა თუ რა რწმენის მატარებელია, შეუძლია ამით იამაყოს.

ჩვენი საფრანგეთის ისტორია არის ის, რაც ჩვენ ერთად ავაშენეთ და ამდენად საერთოა – ვერავინ შეძლებს გვისაყვედუროს.

სარკოზიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ მას ახსოვს საფრანგეთის ისტორიის შავი ფურცლები. ამასთან დაასახელა საფრანგეთის ებრაელობის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც ამჟამად ეს სახელმწიფო. კამონდო მანდელი, ბლიუმი, კასინი, მენდეს ფრანსი, რობერტ ბაღინტერა და სიმონა ვეილი. როცა ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტმა რიშარ პრასკიმ აღნიშნა, რომ იყო დრო, როცა საფრანგეთის ებრაელები ამბობდნენ: „ბედნიერი ვარ, როგორც ღმერთი საფრანგეთში“, სარკოზიმ დასძინა, – ჩემი სურვილი და მიზანი არის ის, რომ ყოველმა თქვენგანმა თავი იგრძნოს ბედნიერად და იამაყოს იმით, რომ ფრანგია.

უკრაინის პრემიერ-მინისტრის განცხადება

10 თებერვალს უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლა აზროვმა ისრაელის ტურიზმის მინისტრთან სტას მისუნეიკოვთან და ქნესთის დეპუტატთან ალექსი მილერთან შეხვედრისას განაცხადა, რომ 2012 წლიდან ისრაელის ის მოქალაქეები, რომლებიც უკრაინაში ცხოვრობდნენ, ამ ქვეყნის მოქალაქეობა შეინარჩუნეს და საპენსიო ასაკს მიაღწიეს, უკრაინის პენსიას მიიღებენ. ამას გარდა, უკრაინის პენსიას მიიღებენ ის ისრაელელები, რომლებიც 1986 წელს ჩერნობლის ატომური ელექტროსადგურის ავარიისას დაზარალებდნენ. ისრაელის ტურიზმის მინისტრი უკრაინაში ჩასული იყო იმასთან დაკავშირებით, რომ 10 თებერვლიდან ისრაელსა და უკრაინას შორის უვიზო რეჟიმი დამყარდა. ვარაუდობენ, რომ ეს 20% გაზრდის უკრაინელთა ტურიზმს ისრაელში.

ყ უ რ ა დ დ ე ბ ა !

სასამართლო პროცესი

სენსაციურ ფაქტებზე სმენაგამახვილებული დღევანდელი პრესის ფურცლებზე გამორჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ თბილისში ისრაელის საელჩო დაიხურა. ყველამ თავისებურად ახსნა ეს ფაქტი: ზოგი იმასაც კი გვიმტკიცებს, რომ ისრაელმა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტაო.

ფაქტი კი ერთია: საელჩოს მუშაობა არ შეუწყვეტია. ამ სამი წლის წინათ განადგურებული იქნა ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ აქტივისტი. „ჰამასს“ სჩვევია განადგურებული ბოევიკის წლისთავზე მოაწყოს ტერორისტული აქტი. ისრაელის ანტიტერორისტულ ბირთვის ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შესაძლებელი იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოეწყოთ ტერორისტული აქტი – იმის გამო, რომ ირანთან საქართველოს თავისუფალი სავიზო რეჟიმი აქვს, ანუ ირანელები საქართველოში უვიზოდ შემოდინან, ტერორისტებს ჩვენს ქვეყანაში მოძრაობა გაუადვილდათ.

ისრაელის საელჩოები მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა არა მხოლოდ საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, სხვა ქვეყნებშიც, საქართველოში კი საელჩო არასტანდარტული რეჟიმით მუშაობდა.

მთავარია, რომ ისრაელის საელჩო თბილისში მუშაობს.

გასულ უვიზოში უნდა დანებებულიყო სასამართლო პროცესი საქართველოში „ჯოინთის“ წარმომადგენლის – სერგო ვლასოვისა და ქართულ-ებრაული ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელის – ილია ბაზოვის მიმართ. სასამართლო პროცესი გადაიდო,

რედაქციის ხელთ არსებული ცნობით, სასამართლო პროცესი დაიწყება ხვალ – 25 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოში.